იდენტობის ცვლილება სხეულის საშუალებით ბოდი ჰორორში

ავტორი : მარია ვაჭარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: კინომცოდნეობა

ხელმძღვანელი: თეო ხატიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, 2025

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

მარია ვაჭარაძე

2025

??????????

აღნიშნული კვლევა შეისწავლის პერსონაჟების იდენტობის ცვლილებებს სხეულის გავლით ბოდი ჰორორის, იგივე ბიოლოგიური ჰორორის კინოში. კვლევა ფოკუსირებულია, ჟანრის ფარგლებში, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ბოდი ჰორორის ფილმებზე.

სხეულის საშინელებათა კინოს ფესვები გოთურ ლიტერატურაშია და შემდგომ გავრცელდა სხვადასხვა მედია საშუალებებში. თუმცა, საშინელებათა ჟანრის იდეა, ჯერ კიდევ, სათავეს იღებს კაცობრიობის ცნობიერის საწყის ეტაპზე, როცა ადამიანები, სიკვდილზე შექმნილი მითებისა და თქმულებების სახით, სხვადასხვა ისტორიებს თხზავდნენ. ამ ისტორიებში ფიზიკური სხეულები მუტაციას, დეფორმაციასა და სხვადასხვა სახის ცვლილებებს განიცდიან საკუთარ, თუ სხვათა სხეულებზე ძალადობით. რა თქმა უნდა, ამ თემის მიმართ ინტერესი კინოშიც გაჩნდა, რამაც გამოიწვია ჰორორის ცალკე ჟანრად ჩამოყალიბება. ჰორორის ქვეჟანრია „ბოდი ჰორორი“, სადაც პერსონაჟები სხეულების დაკნინებით ან პირიქით, გაფეტიშებით იდენტობის ცვლილებებს განიცდიან.

ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს სხეულის როლი იდენტობის დარღვევის მომენტებში, ფილმებისა და ლიტერატურის განხილვის საფუძველზე, მდედრობითი და მამრობითი სქესის პერსონაჟებში. ტექსტი ცდილობს შეისწავლოს კულტურული და დროითი ვარიაციები სხეულისთვის. დაადგინოს, თუ რა მნიშვნელობას იძენს სხეული სხვადასხვა რეჟისორებთან. ამასთანავე, ნაშრომის მიზანია გააანალიზოს კინემატოგრაფიული ტექნიკა და ესთეტიკური სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება ბოდი ჰორორის სპეციფიკურად გამორჩეული ატმოსფეროს შესაქმნელად, სადაც სხეული ხშირად იძენს ავტონომიის განცდას და ხდება პერსონაჟის ეგზისტენციალური მეტამორფოზის აქტიური აგენტი.

Abstract

This study examines the transformation of character identity through the body in body horror, also referred to as biological horror cinema. The research focuses on both classical and contemporary international films within the genre, analyzing how bodily metamorphosis functions as a central mechanism in identity reconfiguration.

Body horror originates in Gothic literature and subsequently proliferated across various forms of media. Nevertheless, the broader horror genre traces its conceptual foundations to the earliest expressions of human consciousness—through myths and legends centered on death and corporeal transformation. In such narratives, bodies are subjected to mutation, deformation, and various forms of physical transgression, often as a result of violence inflicted upon oneself or others. These themes naturally found a potent medium in cinema, contributing to the development of horror as a distinct genre. Body horror, as a subgenre, specifically engages with the deterioration, fetishization, or transformation of the body as a site of identity crisis and reconstruction.

The aim of this research is to investigate the role of the body during moments of identity disruption in male and female characters portrayed in body horror films and literature. It seeks to explore the cultural and temporal variations in the significance attributed to the body as a locus of new identity formation, as represented by different directors and narrative contexts. Furthermore, the study analyzes the cinematic techniques and aesthetic strategies employed to construct the distinctive atmosphere of body horror, wherein the body often acquires a sense of autonomy, becoming an active agent in the character's existential metamorphosis.